პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№ 106 (5136)
30 მაისი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ეთქვას აპარტეიდს სპორტში

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის განცხადება

11 აპრილს ქალაქ ბილში (შვეიცარია) გამართულ სხდომაზე ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიუ-ი) ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამ სახეობის ოსტატთა XVIII მსოფლიო ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში გადაეტანა ბულგარეთიდან, რომელმაც მასპინძლობის უფლება 1970 წლის კონგრესზე მიიღო.

როგორც ცნობილია, ბულგარეთის ტანვარჯიშის ფედერაციამ სპეციალურ განცხადებაში გამოთქვა თავისი ურყევი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებს ვარნის მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ არ დაუშვებდა.

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციას ეს მიაჩნია ერთადერთ სამართლიან გადაწყვეტილებად, რომელიც უპასუხებს ოლიმპიურ მოძრაობაში მიღებულ პრინციპებს.

ბევრმა ეროვნულმა ფედერაციამ ენერგიული პროტესტი გამოთქვა ფიუ-ის ხელმძღვანელი კომიტეტის არასწორი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალურად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ პოლიტიკას და რასისტებს გზას უხსნის საერთაშორისო სპორტული სარბიელისკენ.

გარკვეული ჯგუფი ფიუ-ის ხელმძღვანელობაში, აგრეთვე, ზოგიერთი ეროვნული ორგანიზაციის წარმომადგენლები სამხრეთაფრიკული რასისტების ხელის შემწყობთა როლში გამოდიან. მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია იმ შეუპოვრობით, რომლითაც ეს მოღვაწეები მხარს უჭერენ კაცთმოძულეობის სამხრეთაფრიკულ რეჟიმს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი რეზოლუციების საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ბევრი იმ საერთაშორისო ფედერაციის პრინციპული პოზიციების საწინააღმდეგოდ, რომლებმაც თავიანთი რიგებიდან განდევნეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ყველა სპორტულ ორგანიზაციას მოუწოდეს მათი მაგალითისთვის მიებაძათ, ეს „მოღვაწეები" არა მარტო აბრკოლებენ ფიუ-ის შემადგენლობიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარიცხვას, არამედ სხვადასხვა მანევრით ხელს უწყობენ რასისტებს, როცა ისინი ცდილობენ ათასგვარი ხრიკებით შეცდომაში შეიყვანონ სპორტული საზოგადოებრიობა.

ცნობილია, რომ სოკ-ი დიდხანს სწავლობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტის პრობლემებს. მასში აპარტეიდის არსებობა უდავო საბუთებითაა დადასტურებული. სწორედ ამიტომ, სოკ-მა გადაწყვიტა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გაერიცხა თავისი რიგებიდან. ამავე დროს, ფიუ-ის ზოგიერთი მოღვაწე საცოდავი ხრიკებით ცდილობს საწინააღმდეგო დაამტკიცოს. როცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში აპარტეიდის არსებობას უარყოფს, ფიუ-ის ხელმძღვანელი კომიტეტი თავისებურ უნდობლობის ვოტუმს უყენებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალურ კომისიას, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იყო მდგომარეობის შესასწავლად სოკ-ის ამუამინდელი პრეზიდენტის ლორდ კილანინის მეთაურობით.

ფიუ-ის ხელმძღვანელობის პოლიტიკის ასეთ სიბეცეს შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს მსოფლიო სპორტული მოძრაობისთვისაც და ტანვარჯიშის განვითარებისთვისაც.

მსოფლიო საზოგადოებრიობის გავლენით ფიუ-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოიწვიოს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კონგრესი. სწორედ ის მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე.

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაცია ფიუ-ში გაერთიანებულ ყველა ეროვნულ ფედერაციას, ყველა სპორტსმენს მოუწოდებს ხმა აღიმაღლონ სპორტის ჰუმანური პრინციპების დასაცავად. ჩვენ ვალდებული ვართ მტკიცე უარი ვუთხრათ აპარტეიდს სპორტში.

სპორტი და აპარტეიდი ერთად ვერ იარსებებენ!

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაცია.

ᲛᲔᲢᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-74

● **ᲞᲐᲕᲐᲜᲐ**, 27 მაისი. სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა აქ გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში მთავარი პრიზი სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო. საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდური ასპარეზობის ოთხი სახეობიდან სამში გაიმარჯვეს, პირად ტურნირებში კი თავი გამოიჩინეს რაპირისტებმა — მოსკოველმა ლ. რომანოვმა და მინსკელმა ა. რომანკოვმა, რომლებმაც შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. სსრ კავშირის ნაკრებში, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის გუნდში, უმთავრესად ახალგაზრდა მოფარიკავეები იყვნენ, რომელთაგანაც ზოგიერთი ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა.

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 27 მაისი. გაზეთ „იუმანიტეს" პრიზზე გამართულ ტრადიციულ ველორბოლაში ყველას აჯობა კურსკელმა ვ. ჩაპლიგინმა. სამი ეტაპის ჯამში მისი დროა 9:32.34. გამარჯვებულს სულ რაღაც 41 წამით ჩამორჩა II ადგილზე გასული სვერდლოვსკელი ს. სინიცინი. III ადგილი სამ ველოსიპედისტს ხვდა. ესენი არიან ჟ.-ჟ. ბულარი (საფრანგეთი), ა. ბარტონიჩეკი (ჩეხოსლოვაკია) და ნაუერი (გდრ). გამარჯვებულის გამოსავლენად გადამწყვეტი გამოდგა მესამე ეტაპი. სწორედ აქ იასპარეზა შესანიშნავად ჩაპლიგინმა, რომელმაც 155 კმ 4 საათში, 44 წუთსა და 42 წამში დაფარა. ორი ეტაპის შემდეგ წინ სინიცინი იყო.

● **ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ**, 27 მაისი. ფინეთის ჰოკეის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების მეკარეს ს. ვეტცელს 1975 წლის 30 ივნისამდე აეკრძალა საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმის გამო, რომ ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ვეტცელმა ნარკოტიკული სამუალება — ეფედრინი მიიღო.

● **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ**, 28 მაისი. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 96 სპორტსმენი დღეს ჩაება მხატვრულ ტანვარჯიშში საკავშირო ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლაში. გუნდურ ჩათვლაში ოქროს ჯილდოს მთავარ პრეტენდენტად ითვლება რუსეთის ფედერაციის პირველი ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გ. შუგუროვა (ომსკი), ნ. კრაშენინიკოვა (სტავროპოლი), გ. შაფროვა (მოსკოვის ოლქი), ა. ზასუხინა (ასტრახანი). მიმდინარეობს პირადი პირველობაც. შეჯიბრება ოთხ დღეს გასტანს. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში სწორედ რსფსრ-ს ნაკრები დაწინაურდა. პირად ტურნირში ორი სახეობის (სასტუნებელი, სალტე) შემდეგ წინაა კრაშენინიკოვა — 19,8 ქულა. მას 0,2 ქულით ჩამორჩება შუგუროვა.

● **ᲞᲚᲔᲘᲜᲘᲣ** (ტეხასის შტატი), 28 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ამერიკაში თავისი ტურნეს მეხუთე მატჩი ადგილობრივი კოლეჯის დარბაზში ჩაატარა. იგი აქ აშშ-ს ჩემპიონს — ადგილობრივ „ფლაინგ ქუინზს" შეხვდა. ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. მაყურებლებს ძალიან მოეწონათ სტუმრების თამაში და აღტაცების გამოსახატავად მქუხარე ტაშს არ იშურებდნენ. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 95:58. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ოვეჩკინამ, კუზნეცოვამ და კურვიაკოვამ.

ᲛᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ — ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ 1:0

ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘ, 28 მაისი. დღეს გაიმართა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) მატჩის პირველი პარტიის დამთავრება. 54-ე სვლაზე გაიმარჯვა პიატიგორსკელმა მოჭადრაკემ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲐᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ამას წინათ ლვოვში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში: „კარპატი" გელზენკირჭენის „აინტრახტს" (გფრ) უმასპინძლა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თამაში საინტერესო გამოდგა.

პირველი გოლი ვაისფენინგმა გაიტანა, მაგრამ შესვენების შემდეგ ლვოველებმა არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ კიდეც — 4:1. გოლები გაიტანეს დანილიუკმა (2), ჰოდპალიუკმა და ბაჩიაშვილმა.

მანამდე გფრ-ის გუნდი ლენინგრადში დამარცხდა ადგილობრივ „ზენიტთან" — 0:1.

როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის სტრაგოვის სტადიონზე მოეწყო მშვიდობის XXVII ველორბოლის ფინიში. წარმატება პოლონეთის მრბოლელებმა მოიპოვეს. ისინი პირველობდნენ გუნდურ ჩათვლაშიც და პირადშიც. დიდი დაფნის გვირგვინი ხვდა ს. შოზდას. II ადგილზეა ნ. გორელოვი (მოსკოვის ოლქი), რომელმაც „მთის მეფის" ტიტულიც მოიპოვა. საბჭოთა კოლექტივი II ადგილზეა გუნდურ ჩათვლაშიც.

სურათზე: მშვიდობის ვველორბოლის პრიზიორები (მარცხნიდან) — ნ. გორელოვი, ს. შოზდა, მ. გრაზდირა (ჩეხოსლოვაკია, III ადგილი).

ჩტკ — საკდესის ტელეფოტო.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

— ტურნეს შედეგებით კმაყოფილი ვარ. ეს შეხვედრები სასარგებლო იყო როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელი კალათბურთელებისთვის, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა კიევში გამართული დასკვნითი მატჩის შემდეგ. — 1964 წელს, როცა ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობდი, პირველად შევხვდი საბჭოთა კალათბურთელებს. მაშინ ვფიქრობდი, რომ თქვენს სპორტსმენებს ძნელი ამოცანები ჰქონდათ გადასაწყვეტი. მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა უკვე ძალიან მოგვეწონა თქვენი ბიჭების ენთუზიაზმი, შთაგონებული თამაში. ამასთან, ისინი ჩვენზე ზუსტად ტყორცნიან. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ისეთი ექსტრა-კლასის კალათბურთელების თამაშმა, როგორიც არიან ალექსანდრე ბელოვი და ალექსანდრე სალნიკოვი. ჩვენ თქვენს გუნდებს ვუგებდით მხოლოდ მაღალი სიზუსტის წყალობით. გარდა ამისა, ჩვენები უფრო თავისუფლად თამაშობდნენ. მაგრამ თუ თქვენი სპორტსმენები კალათბურთს თავიანთი მწვრთნელის ვლადიმერ კონდრაშინის თვალით შეხედავენ, საბჭოთა ნაკრები დაძლევს ნაკლოვანებებს. ერთი სიტყვით, ტურნე ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო და არ შეიძლება ეჭვი შეეტანოთ ასეთი კონტაქტების აუცილებლობაში.

როგორც ცნობილია, ამერიკელმა სტუმრებმა საბჭოთა კავშირში ცხრა მატჩი ჩაატარეს და აქედან ექვსი მოიგეს.

(საკდესის კორ.).

კიევი.

ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲔᲕᲔᲜ

ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტის მეთევზეთა საზოგადოებამ (თავმჯდომარე დოც. ვ. ტყეშელაშვილი), რომელიც 35 კაცს (პროფესორ-მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი) აერთიანებს, ალაზანზე, სოფელ ქვემო ქედის მიდამოებში, თავისი სასწავლებლის ტრადიციული პირველობა მოაწყო.

დებულებით, მონაწილეებს მხოლოდ ერთი ანკესით თევზაობის უფლება ჰქონდათ.

I ადგილი წილად ხვდა ფიზიოლზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებელს ი. სულიაშვილს. II ადგილზე გავიდა დურგალი ი. სობოლი. მესამე იყო ფიზიკის ფაკულტეტის მეტეოლაბორატორიის გამგე კ. სპიცკი.

უნივერსიტეტის მეთევზეთა საზოგადოების საქმიანობა მარტო შეჯიბრების ჩატარებით როდი ამოიწურება. ამ საზოგადოების წევრები ხშირად ატარებენ ლექციებს ბუნების დაცვის საკითხებზე როგორც უნივერსიტეტში, ისე სხვაგან.

საზოგადოების წევრთა შორის 15 თევზდაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორია, რომლებიც ხშირად აწყობენ რეიდებს თევზჭერის წესების დამრღვევთა გამოსავლენებლად. მათ ამჯერადაც გამოავლინეს ბრაკონიერები და თევზსაჭერი ინვენტარის კონფისკაცია მოახდინეს.

ბ. პაპიძე.

ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ

28 მაისს სიმბოლური „სტუდენტის" ბილეთი გადაეცა მოსკოვის ფიზიკური კულტურის ლენინის ორდენოსანი ცენტრალური ინსტიტუტის ახალ „სტუდენტთა" დიდ ჯგუფს. ახალმედეგი—ასი კანადელი — მოსკოვში ჩამოვიდნენ, სადაც ორი კვირის განძილზე მოისმენენ ლექციებს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და საბჭოთა სპორტული მეცნიერების მიღწევების შესახებ.

სტუმრებს შორის ბევრი კურსდამთავრებული სპეციალისტია. მათ კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. დელეგაციას ხელმძღვანელობს ლაიონელის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი ე. ენოსი.

ჯგუფის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს ჰოკეის სპეციალისტები შეადგენენ. სემინარის პროგრამაში მათთვის გათვალისწინებულია ბ. მაიოროვის ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობანი მოსკოვის „სოკოლნიკის" ყინულის სარბიელზე. კანადელი სტუმრები ყინულზე იმეცადინებენ ინსტიტუტის სტუდენტებთან და ისეთ ცნობილ სპორტსმენებთან ერთად, როგორიც არიან ა. რაგულინი და ბ. ალექსანდროვი. ჰოკეის სემინარში მონაწილეობას მიიღებს „ფილადელფია ფლაიერზის" მწვრთნელი ფ. შერო. მისი ხელმძღვანელობით ამას წინათ ფილადელფიელებმა სტენლის თასი მოიპოვეს. შერომ გადაწყვიტა შემთხვევით ესარგებლა და კიდევ ერთხელ „შეხვედროდა" საბჭოთა ჰოკეის, რომლის საუკეთესო თვისებებსაც იგი თავის შეგირდებს უნერგავს.

სტუმრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში წვრთნის ორგანიზაციას ეწევიან ინსტიტუტის დარბაზებში და „ლოკომოტივის" სტადიონზე.

კანადელები შეიარაღებული არიან კინოაპარატებით. მათ სურთ გადაიღონ ფილმი, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოადგებათ.

სემინარის დამთავრების შემდეგ მისი ყოველი მონაწილე სპეციალურ მოწმობა-დიპლომს მიიღებს.

ასეთი კურსი კანადელი სპორტის სპეციალისტებისთვის პირველად ტარდება. ღონისძიება ეწყობა გაცვლა-გამოცვლათა შესახებ სსრ კავშირისა და კანადის შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც მხარეებმა ხელი 1971 წელს მოაწერეს.

ვ. კუკუშკინი.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მინდობილ საქმეს

ვიბრძოლოთ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის, ღირსეულად მოვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და XXI ოლიმპიური თამაშებისთვის — ეს იყო მთავარი აზრი „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს IV პლენუმის მუშაობისა.

ერთი წლის ძანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებზე და მომავლის ამოცანებზე ძოძაენენმით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. ბაჩრაძეანი.

მოიხსენებელმა ილაპარაკა, რომ დღეიდან დღე იზრდება ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა. 1973 წელს „განთიადს“ 5000 კაცი შეემატა. გლეჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ორგანიზაციამ. ამ საწარმოს გუნდები სისტემატურად მონაწილეობენ რაიონულ, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში და საპატიო ადგილებს იკავებენ. მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისთვის პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭომ ამ კოლექტივს სპორტკლუბის წოდება მიანიჭა და ახლა მას „ელვა“ ჰქვია.

ასევე ნაყოფიერად იმუშავეს და ვადამდე შეასრულეს ვალდებულებები სპორტკლუბებმა „ივერიამ“, „ფეიქარმა“, სამკერვალო ფაბრიკა „პირანის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, თბილისის კერამიკული კომბინატის, № 14 სამშენებლო ტრესტის, ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის, თბილისის საავეჯო გაერთიანება „განთიადისა“ და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

შარშან ცენტრალური საბჭოს სპორტსმენებმა საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო პირველობებში მოიპოვეს 22 ოქროს, 18 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი.

— წარმატებები მეტს გვავალებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსორციელების თვის ბრძოლაში, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა.

დღეისთვის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები არიან: ძალოსანი დ. შანიძე, ტანმოვარჯიშე ნ. დრონოვა, ველოსიპედისტი ი. ვოლკოვი, მოჭიდავეები ვ. მარშანია და ა. ბარკალაძე, მოკრივე კ. ალბოროვი, აფროსანი ა. ახუბა, წყალში მხტომელი ა. სალდატოვი, მესტენდურეები კ. დარასელია და თ. მატოიანი, მოცურავე ი. სტეგანცევი.

მომხსენებელმა სასტიკად გააკრიტიკა ისინი, ვინც ადგილებზე სათანადო პირობებს არ ქმნის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, ფორმალურად ეკიდება საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების მომზადებას, საწვრო გადასახადების აკრეფას, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მოძზადებას.

ქუთაისში ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად საგრძნობლად დააქვეითეს სასწავლო-სპორტული მუშაობის ხარისხი: 38 კოლექტივიდან 15 ფორმალურად არსებობდა. საწარმოო ტანვარჯიში არ ტარდებოდა ისეთ დიდ ორგანიზაციებშიც კი, როგორიცაა საავტომობილო ქარხანა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება. საერთოდ ჩაშლილია მუშაობა საავეჯო ფაბრიკაში, ტყავ-ფეხსაცმელის კომბინატში... ზოგიერთ ფიზკულტურულ კოლექტივში ინსტრუქტორი-ძეთოდისტები საქმისადმი ძეტიუმეტად ზერელე დამოკიდებულებაა იჩენენ.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ისაგულოვმა სუთ სპორტაძენს, რომელთაც სულ არ მიუღიათ მონაწილეობა შეჯიბრებებში, ხელბურთში III თანრიგი მიაკუთვნა, ხოლო სამმა კაცმა მიიღო თანრიგი მაგიდის ჩოგბურთში, მისივე „ზრუნვით“ 150 კაცს დაუმსახურებლად ჩიეცა მშდ-ს ნიშანი.

ამ ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მრავალწლიანი პრაქტიკის ძიუამედაეად, ვერ. მიაღწია სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას: წინათ არსებული სპორტული ბაზები ფაბრიკის საამქროების გაფართოებასთან დაკავშირებით დაიხერა. ფიზკულტურელებს ამჟამად მხოლოდ მარტივი ტიპის მოედანი აქვთ, ეს ძაბინ, როცა საწარმომ ძთელი რიგი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი კორპუსები აამენა. დირექცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები თავს არ იწუპებენ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მომხსენებელმა ცუდი მუშაობისთვის გააკრიტიკა 26 კომისარის სასელობის მანქანათსაშენებელი და ელექტროშემდუღებელი ქარხნების, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქან ი ს“, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის, № 2 ფეხსაცმლისა და № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

— სპორტული მუშაობის შეფასების დღევანდელი კრიტერიუმი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებისა და ქვეყნის ნაკრების კანდიდატების მომზადებაა, — თქვა მომხსენებელმა, — ამ მხრივ კი ჩვენი ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან. აპარაში ბოლო ორ წელიწადში არ მომზადებულა (ცურვის გარდა) არც ერთი მაღალკვალიფიციური სპორტსმენი. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისსა და რუსთავში. ამ ნაკლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ საკმარისი რაოდენობით არა გვყავს კვალიფიციური მწვრთნელები. აღმზრდელები არ იყენებენ წვრთნის ახალ მეთოდებს, არ მუშაობენ ექიმთან შეთანხმებით.

პლენუმზე ლაპარაკი იყო ბაზების მდგომარეობაზეც.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჩოგბურთში ა. ივანოვამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ არ არის საკმაო რაოდენობით ჩოგბურთის კორტები. მწვრთნელები არ დანანან სათანადო სიმაღლეზე, გულგრილად ეკიდებიან სპორტსმენთა მომზადებას. ყოველივე ამის გამო არ გვყავს პერსპექტიული ჩოგბურთელები, რომლებიც შეძლებენ მომავალში საერთაშორისო სარბიელზე გამოხვლას.

ა. ივანოვას გარდა მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ი. სანხულია, აპარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. კუსიდი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კოპალიანი, ზესტაფონის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე დ. ღამბაძე, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ბავშვთა კომპლექსური სკოლის დირექტორი ე. ბაალბერელიძე, რომლებმაც ილაპარაკეს განთიადელთა სხვა მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

რეზერვი აუცილებელია

ფოთში, კაპარჭინაზე, სამ დღეს გაკრძალდა აკადემიური ნიჩბოსნობაში საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა 5 გუნდი მონაწილეობდა. ყველა ნიჩბოსანი პირველთანრიგოსანი და უფრო მაღალი წოდების სპორტსმენი იყო. ამიტომ ველოდით, რომ ყველა კლასის ნავებით უმედავათო და ღიაბული შეჯიბრება გაიმართებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

საქართველოს ნაკრების ეკიპაჟებმა ყველა გაცურვა დიდი უპირატესობით მოიგეს. მაგალითად, მესაპეანი ორადგილიანი გასაშლელით ასპარეზობაში ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატები გ. პატარაია („ვოდნიკი“), ბურეევსტნიკელები ვ. კუდუმოვი, ნ. ფილიევი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. ნიკურაძე (მესაჭე ო. ხუციშვილი) 2000 მეტრზე 7.06,0 აჩვენა და III ადგილზე გასულ „ვოდნიკის“ ოთხეულს 1.07,7 მოუგო. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრებმა, თბილისის ასკ-ს ნიჩბოსნებმა, სპორტის ოსტატებმა დ. ლოლუამ და ვ. გუგეშკორმა (6.44,0) თითქმის წუთით ჩამოტოვეს მესამე პრიზიორი — „სპარტაკის“ დუეტი (7.37,8).

აკადემიური ნიჩბოსნობისთვის ყველა სპორტსაზოგადოება რომ არ ზრუნავს, ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა. საკმარისია ითქვას, რომ ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებით ვაკეთა და ქალთა, აგრეთვე, უმუსაკო ორადგილიანი გასაშლელებით ქალთა ასპარეზობაში სარპიელზე თითო ნავი გამოვიდა, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებითა და რვაადგილიანებით რბოლაში კი პირველობაზე პრეტენზიას ქალთა მხოლოდ ორ-ორი ეკიპაჟი აცხადებდა.

გამარჯვებულ ეკიპაჟთა შედეგები საერთოდ დამაკმაყოფილებელი იყო. მაგრამ რესპუბლიკაში სპორტის ამ სასეობის განვითარებისთვის ზრუნეა მარტო ნაკრების წევრების კარგი მომზადებით არ უნდა ამოიწურებოდეს. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მათ სათანადო რეზერვი სჭირდებათ და ამ რეზერვის მომზადებისთვის ყველა უნდა საქმიანობდეს.

თასი „ვოდნიკის“ ნაკრებმა მოიპოვა — 280,4 ქულა. II ადგილზეა ასკ — 172,8, III — „დინამო“ — 160,4.

ჟ. ჟიმისტარიშვილი.

ფოთი.

* * *

სხვა გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები.

ქალები. 1000 მ. ერთადგილიანი. ე. ალავიძე („დინამო“) — 4.12,0. **უმუსაკო ორადგილიანი გასაშლელი.** მ. გეორგიშვილი („სპარტაკი“), ლ. კახურაშვილი („ბურევესტნიკი“) — 4.15,0. **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ალავიძე, ლ. ბოგვერაძე („დინამო“) — 4.14,0. **მესაპეანი ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ბოგვერაძე, ნ. ბურჯალიანი, ნ. გორდელაძე (ორივე — „განთიადი“), ნ. ქევანიშვილი („ბურევესტნიკი“), მესაპე — ვ. კვენტაძე („განთიადი“) — 4.26,2. **მესაპეანი ოთხადგილიანი გასაშლელი.** ლ. ალექსეენკო („ვოდნიკი“), ლ. ბერაძია („ბურევესტნიკი“), ტ. გორშკოვა („განთიადი“), ვ. ავსაჯანიშვილი („სპარტაკი“), მესაპე — კვენტაძე — 4.25,0. **რვაადგილიანი.** საქართველოს პირველი ნაკრები — ი. სადოვნიჩაია, ტ. ზაპოროჟეცი, ე. ბლინკოვა, ნ. დალაქიშვილი, გორშკოვა (ყველა — „განთიადი“), ალექსეენკო, ბერაძია, ავსაჯანიშვილი, მესაპე — ე. გაბრიაძე („განთიადი“) — 3,46,0.

ვაჟები. ერთადგილიანი. ვ. აბაზაძე („დინამო“) — 7.25,0. **უმუსაკო ორადგილიანი გასაშლელი.** გ. პატარაია („ვოდნიკი“), ნ. ფილიევი („ბურევესტნიკი“) — 7.12,0. **მესაპეანი ორადგილიანი გასაშლელი.** ი. ბობოხიძე (ასკ), თ. ენდელაძე („ბურევესტნიკი“), მესაპე — ს. სოგრატოვი (ასკ) — 8.01,4. **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ა. ყოლბაია, ი. შალნოვი, მ. ჩუბინიძე, ვ. ჩიქობავა (ყველა — „ვოდნიკი“) — 7.43,3. **უმუსაკო ოთხადგილიანი გასაშლელი.** ი. იმნაძე, ნ. დიხამინჯია, ს. ურიდია, ლ. მესხი (ყველა — ასკ) — 7.15,9. **რვაადგილიანი.** თ. ჯანჯღავა (ასკ), გ. მამუკაშვილი, ზ. ბერძენიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“), ზ. შიომვილი, რ. გაბელაია, თ. ცინცაძე, ი. თათარაშვილი (ყველა — ასკ), რ. წიკლაური („განთიადი“), მესაპე — ა. ოდილაძე („დინამო“) — 6.01,6.

* * *

სურათზე: ვ. აბაზაძე ასპარეზობის დროს.

მ. ზაქარეიშვილის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

ვის რაში სჭირდება ასეთი თვითმოქმედება?

გასაკვირი თითქოს არაფერია: ველოსიპედისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ იმ ქალაქებისა და რაიონების გუნდებს, სადაც არსებობს სექციები და ჰყავთ შტატიანი მწვრთნელები. სწორედ ამ პრინციპით დაუშვეს ამას წინათ საქართველოს თასის გათამაშებაში ლაგოდეხისა და ზესტაფონის გუნდები. მაგრამ...

ზესტაფონელებს თამამად შეეძლოთ საერთოდ არ გამოეყვანათ გუნდი, ვინაიდან ბოლო ადგილი ასპარეზობაში მათ ისედაც უზრუნველყოფილი ჰქონდათ. მაგრამ ბოლო ადგილისთვის ჩვენ არამც და არამც არ გაგიკვაზდით მათ, შედეგები ოდნავ მაინც მისაღები რომ იყოს. საქმე ისაა, რომ ამ რაიონის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერც ჯგუფურ რბოლაში და ვერც ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩათვლა ვერ მისცა თავის კოლექტივს. უფრო მეტიც, საკონტროლო შედეგამდე მათ საკმაოდ მეფრი დაკლდათ.

იგივე შეიძლება ითქვას ლაგოდეხის ველოსიპედისტებზე იმ განსხვავებით, რომ აქ მხოლოდ ერთი შედეგი უპასუხებს ნასათვლელ ნორმატივს. იმდენად კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია საერთოდ ასე სუსტად მომზადებული გუნდების დაშვება რესპუბლიკურ შეჯიბრებებში? თასის გათამაშების სტარტზე არ გამოსულან ქალაქების ბორის, ზუგდიდისა და სამტრედიის, აგრეთვე, ზუგდიდის რაიონის კოლექტივები, რომლებსაც შეჯიბრებაში მონაწილეობის იურიდიული უფლება ჰქონდათ. მათ, ცხადია, შეგნებულად აარიდეს თავი ასპარეზობას, ვინაიდან არ უნდოდათ ზესტაფონელთა ან ლაგოდეხელთა მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

ერთიც დანაშაულია და მეორეც. ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ ზემოდასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში ველოსპორტის განვითარება თვითდინებაზეა მიშვებული. არიან ველოსიპედისტებიც, არიან შტატიან გათვალისწინებული მწვრთნელები, არსებობს სექციები, მაშასადამე, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს იმისთვის, რომ სპორტსმენთა მომზადების დონე ერთობ დაბალია. თავის გამართლება ყველაკ კარგად იცის, ობიექტურ მიზეზებსაც, თუ გნებავთ, ათობით ჩამოგითვლიან, მაგრამ მოკავარ სათქმელს მაინც არავინ ამბობს ბოლომდე. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ მიზეზი ერთია და, სამწუხაროდ, საყოველთაო: მწვრთნელები ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს არიან შეჩვეული, კუდში მიპყვებიან მოვლენებს და კმაყოფილდებიან იმ მცირედით, რასაც მხოლოდ თვითმოქმედება იძლევა. ეს ყველაფერი კი ხდება იმიტომ, რომ არავინ ითხოვს პასუხს, არავინ იჩენს დაინტერესებას და მდგომარეობის გამოსწორების სურვილს.

აი, კიდევ ერთი მაგალითი ეშისა, თუ როგორ შეიძლება სრული უმოქმედობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად საქმე ჩაშლამდე მივიდეს. იყო დრო, როცა აპარის გუნდი რესპუბლიკის ველოსპორტში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. ბათუმს, ქობულეთს თავიანთი წარმომადგენლებიც კი ჰყავდათ საქართველოს ნაკრებ გუნდებში. დღეს ასეთი დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივი ჩამოყოფილდება ერთადერთი ჩასათვლელი შედეგით ინდივიდუალურ რბოლაში. ველოსიპედისტთა ჯგუფები კი ბათუმშიც არის და ქობულეთშიც, ოღონდ მათს არსებობას არავითარი პრაქტიკული გამართლება არა აქვს.

საქართველოს თასი საგზაკეციელო ველორბოლაში თბილისის ნაკრებმა მოიგო. მაგრამ არც იგი გამოსულა თანაბრად პროგრამის ყველა სახეობაში. მაგალითად, ინდივიდუალურ რბოლაში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებს ხვდათ, ჯგუფურში კი არც ერთი პრიზიორი არ ყავდათ.

დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვეს რუსთაველი და აფხაზეთის ველოსიპედისტებმა, რომლებიც შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ. კარგი მოამზადება გამოაელინეს აფხაზეთის გუნდის წევრმა მ. კოშელიანმა და 16 წლის რუსთაველმა სპორტსმენმა ნ. კრასავცევმა: პირველმა ჯგუფური რბოლა მოიგო, ინდივიდუალურში კი IV ადგილი დაიკავა: კრასავცევი ჯგუფურ რბოლაში II ადგილზე გავიდა. მან უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე რუსპუბლიკის ნაკრების წამყვანმა წევრებმა ა. ხომუტოვმა, ი. რთველიაშვილმა, ა. ხახიაურმა...

ნ. ახვლედიანი.

* * *

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

ინდივიდუალური რბოლა 40 კმ. 1. ა. ხომუტოვი — 1:02.39, 2. ი. რთველიაშვილი — 1:03.36, 3. ა. ხახიური (ყველა — თბილისი) — 1:03.52.

ჯგუფური რბოლა 120 კმ. 1. მ. კოშელიანი — 3:01.40, 2. ნ. კრასავცევი — 3:01.45, 3. გ. თოლომაშვილი (რუსთაველი I) — 3:02.20.

მძლეოსანთა სტარტები

ბურმკირჟენი (გფრ), 27 მაისი. სსრ კავშირის რეკორდსმენი და ზეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რიგელი ი. ლუსისი ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში წლეულს პირველად გამოვიდა სტარტზე. მას მეტოქეობას უწევდა მიუნპეხის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი კ. ვოლფერმანი (გფრ). გაიმარჯვა გერმანელმა შუბის მტყორცნელმა — 81,48 მ. ლუსისი მას 56 სანტიმეტრით ჩამორჩა.

ვარშავა, 27 მაისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში გ. ციბულსკის სიგრძეზე ხტომაში წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 815 სმ.

პრაღა, 27 მაისი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში მოასპარეზე სპორტსმენებმა სამი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: ხ. ვიხნალოვამ 57,48 მეტრზე ტყორცნა ბადრო (ძველი მიღწევა — 56,30), ი. ხარვატმა 71,38 მეტრზე ტყორცნა ურო (30 სანტიმეტრით გაუჯობესა ძველი რეკორდი), ს. ჰოფმანმა 10 კმ 28 წუთში და 21,8 წამში გაირბინა (ძველი რეკორდი — 28.23,2).

ბარიზი, 27 მაისი. მიუნპენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა გ. დრიუმ (საფრანგეთი) აქ 110 მ თრჯერად პირქარში 13,4 წამში გაირბინა.

ლონდონი, 27 მაისი. ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენი ა. ფოიერბახი (აშშ) ძალიან იშვიათად აგებს შეჯიბრებას. და აი, ადგილობრივი „კრისტალ პალასის“ სტადიონზე მან წაგო ორთაბრძოლა ბრიტანეთის თამაშების ჩემპიონთან, ინგლისელ პოლისმენთან, 141-კილოგრამიან გიგანტთან ჯ. კეიესთან, რომელმაც 20,90 მეტრზე ჯრა ბირთვი (ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში და დიდი ბრიტანეთის რეკორდიცაა). ამერიკელის შედეგია 20,40 მ.

დიდი ბრიტანეთის რეკორდი გაიმეორა ანდრეა ლინჩმა, რომელმაც 100 მ 11,3 წამში გაირბინა. 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ავსტრალიელმა რელენ ბოილმა — 23,0.

მოდესტო, 27 მაისი. კალიფორნიის ამ ქალაქში გამართულ ტრადიციულ „მოდესტოს ესტაფეტებში“ ამერიკელ ჯ. პაუელს სულ 32 სმ დააკლდა ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდამდე. მისი შედეგი — 68,08 მ — საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე ასევე ყველაზე შორს გადასტა ა. რობინსონი — 830 სმ. ამავე სახეობაში ქალთა შორის მ. უოთსონმა აშშ-ს რეკორდს გადაუჭრა, მაგრამ 665 სანტიმეტრზე სიგრძეზე გადასტომაში მას მეტისმეტად ძლიერი ზურგქარი დაეხმარა.

აშშ-ს რეკორდები დაამყარეს: მარენ ზაიდლერმა (ბირთვი — 17,11 მ) და ფრენსი ლარიუმ (1 მილი — 4.38,2).

ჯო ჰანლიმ 183 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲔᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ

Ვ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ

...ბაგრამ სწორედ ამ ფეხბურთელებმა ...ალეგენს ყველაზე დიდი უსიამოვნება პირველივე წუთებში. როგორც კი ...ტკენის ხმა გაისმა, ბურთი მყისვე ...ბრაზილიელთა მოუხეშავმა, კოჭლმა, ...ლში მოხრილმა მარჯვენა გარემარბ...ს ...ბიდან ... ...

13/VI — 7/VII

WM-74

მწვანე კონტინენტის ჭრელი ნაჭრები

ავსტრალიის ახალმა მცხოვრებლებმა — ბრიტანელმა, იუგოსლავიელმა, გერმანელმა, იტალიელმა და ავსტრიელმა იმიგრანტებმა, მწვანე კონტინენტზე ჩაიტანეს თავიანთი წეს-ჩვეულებანი და კულტურა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი ფეხბურთიც გახლავთ.

ფეხბურთისადმი ინტერესი თანდათან გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ტელევიზიით ინგლისის პირველობის მატჩების გადაცემამაც. მაგრამ პოპულარობის მხრივ ეს თამაში ჯერ მაინც ვერ გაუწევს კონკურენციას მწვანე კონტინენტისთვის ტრადიციულ სახეობებს, როგორიცაა კრიკეტი და ავსტრალიური ფეხბურთი. ჩვეულებრივი ფეხბურთის მატჩებს სიდნეის და მელბურნის სტადიონებზე მხოლოდ 10 ათასამდე მაყურებელი ესწრება.

ის, რომ ავსტრალიის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, იუგოსლავიელი მწვრთნელის ზვონიმირ რასიჩის დიდი პირადი წარმატებაა. მან იუგოსლავია თერთმეტი წლის წინათ დატოვა და სიდნეიში დაიწყო თამაში, ხოლო ქვეყნის ეროვნულ გუნდს სათავეში შარშან ჩაუდგა.

მოთამაშეთა უმეტესობა ავსტრალიაში ბავშვობაშია გადასული. მწვანე კონტინენტზე გადასახლებამდე ფეხბურთს თამაშობდა მხოლოდ ნახევარმცველი რეი რიჩარდსი, რომელიც ინგლისის „ჰიდლსბროში“ გამოდიოდა.

შესარჩევ მატჩებში ავსტრალიამ გამოიყვანა შოტლანდიაში, ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, უნგრეთსა და იუგოსლავიაში დაბადებული მოთამაშეები. მწვანე კონტინენტის ნაკრებში რუმინეთსა და ავსტრიასაც ჰყავდათ თითო „წარმომადგენელი“.

ავსტრალიის ნაკრების თითქმის ყველა წევრი მოყვარული ფეხბურთელია.

მსოფლიო პირველობის ფინალში გასასვლელად ავსტრალიელებმა ნახევარ მსოფლიოს შემოუარეს, ითამაშეს ირანსა და სამხრეთ კორეაში. სიდნეიში მათ დაამარცხეს ირანის გუნდი ანგარიშით 3:0, მაგრამ თეირანში პირველივე ტაიმში ორი გოლი გაუშვეს — 0:2. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მწვანე კონტინენტის გუნდი შემდეგ წრეში გავიდა (ორი მატჩის ჯამი — 3:2).

ავსტრალიელები კვლავ გასაჭირში აღმოჩნდნენ, როცა შინ ფრედ (0:0) დაამთავრეს შეხვედრა სამხრეთ კორეის გუნდთან. სამხრეთკორეელები უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ და ინდივიდუალური ოსტატობის დონითაც უფრო მაღლა იდგნენ, მაგრამ ავსტრალიელებმა მეტოქეს აჯობეს ფიზიკური მონაცემების წყალობით — სიმაღლით, ძალით, სისწრაფით, აგრეთვე, შეუპოვრობითა და გამბედაობით.

მიუხედავად იმისა, რომ სეულში მასპინძლებმა უკეთესად ითამაშეს, სტუმრებმა მაინც მიაღწიეს ფრეს (2:2), ხოლო 48 საათის შემდეგ ჯონკონში გადათამაშება მოიგეს — 1.0.

რასიჩმა თქვა: „ჩვენები, ინგლისელების მსგავსად, ათლეტურები არიან, აზიელ ფეხბურთელთა უმეტესობისთვის მეტისმეტად ათლეტურები“.

დასავლეთ გერმანიაში რასიჩი არ მიმართავს ულტრადაცვითს სისტემას, რადგან იცის, რომ მარტო ეს არ ეყოფათ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ. კაცმა რომ თქვას, ავსტრალიელები ხომ მხოლოდ ევროპის კარგი სამყოყარულო გუნდების დონეზე თამაშობენ.

ფიფა-ში ავსტრალიელები 1958 წელს შევიდნენ, მაგრამ ორი წლის შემდეგ გარიცხეს იქიდან, როგორც „მეკობრეები“. ავსტრალიაში გადასახლებულმა უამრავმა ევროპელმა მოთამაშემ ფეხბურთის ასოციაციას სთხოვა უკან დაბრუნების ნებართვა, მაგრამ უარი მიიღო, ხოლო ზოგიერთმა კლუბმა, იმის იმედით, რომ ფეხბურთელთა წასვლისთვის საზღაურს მიიღებდა, ფიფა-ს უჩივლა.

მაშინ ავსტრალიელებს ფულის გადახდა არ შეეძლოთ. გარდა ამისა, იმ მოთამაშეთა უმეტესობა ევროპაშიც ვერსად მიიღებდა შესაფერის ჰონორარს და საბოლოოდ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

ავსტრალიის საუკეთესო ფეხბურთელი რეი ბაარტსი დასავლეთ გერმანიაში არ ითამაშებს. ისიც საეჭვოა, საერთოდ შეძლებს თუ არა თამაშს. აპრილში ავსტრალიის ნაკრები ურუგვაელებს ხვდებოდა. ურუგვაის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა ბაარტსს კარატეს ილეთი ჩაუტარა. ამ უკანასკნელს ტვინის სერიოზული ტრავმის შედეგად დამბლამ სხეულის მარცხენა მხარე წაართვა.

რასიჩის თქმით, ავსტრალიელებს ბრძოლის გაგრძელების იმედი არა აქვთ, ვინაიდან მათს ჯგუფში გერმანია და გდრ-ის გუნდები თამაშობენ, ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვიქნებით, თუ საპატიოდ წავაგებთო, ამბობს მწვრთნელი. მაგრამ, თუმცა რასიჩი გუნდს მცველებით ავსებს, ეფიქრობს, რომ ავსტრალია ვერ გადაურჩება გამანადგურებელ წაგებებს.

ტერი ბაუელი.

• • •

გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ფრეზერი („სენტ ჯორჯი“), უილსონი („სეიფუეი იუნაიტედი“), უტიესენოვიჩი („სენტ ჯორჯი“), შაფერი („სენტ ჯორჯი“), კურანი („უესტერნ საბერბსი“), რიჩარდსი („უესტერნ საბერბსი“), მაკეი („ჰაკოა“), რუნი (აპია), ელსტონი („სეიფუეი იუნაიტედი“), ებონიი („სენტ ჯორჯი“), ბულიევიჩი (ჯისტ).

მათს გარდა, გუნდში არიან: მეკარე მილისავლიევიჩი (ჯისტ); მცველები: უილიამსი („სენტ ჯორჯი“), უოტკისი („ჰაკოა“); ნახევარმცველები: კემპბელი („მარკონი ფეკფილდი“), ვოიტეკი („კროუტია“), ოლერტონი (აპია); შუადამსხვმლები: უორენი („სენტ ჯორჯი“), ტოლნოსი („სეიფუეი იუნაიტედი“).

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი).



ბრძოლა 120 წუთს გაგრძელდა

(1934 წ. რომი. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი ივან ეკლინდი, უნგრეთი)

იტალია—ჩეხოსლოვაკია 2:1

ყველასთვის ნათელი იყო, რომ მეორე მსოფლიო ჩემპიონატი ევროპაში გამართებოდა, მაგრამ რომელ ქვეყანას მიანდობდნენ ასპარეზობის ჩატარებას? ბოლოს და ბოლოს, მრავალი სსდომისა და ცხარე კამათის შემდეგ ფიფა-მ საკითხი იტალიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ფინალური შეხვედრა დაინიშნა რომში 1934 წლის 10 ივნისისთვის...

ევროპის ქვეყნებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და ბევრმა გამოთქვა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი. გამონაკლისი იყო მხოლოდ ფეხბურთის სიამაყე ინგლისი, რომელიც ჯიუტად რჩებოდა თვითიზოლაციაში...

შეჯიბრების ორგანიზატორებმა პირველი მოულოდნელი ცნობა სამხრეთ ამერიკიდან მიიღეს: ურუგვაიმ, 1930 წლის ჩემპიონმა, უარი თქვა იტალიაში თავისი ტიტულის დასაცავად ჩასვლაზე. ამგვარად, სამხრეთ ამერიკიდან 1934 წლის ჩემპიონატში მონაწილეობდა მხოლოდ ორი ქვეყანა — არგენტინა და ბრაზილია. როგორც სპეციალისტები, ისე ფეხბურთში ცოტად თუ ბევრად ჩახედული უბრალო მოყვარულებიც ფიქრობდნენ და აშკარადაც გამოთქვამდნენ აზრს, რომ ეს ორი დელეგატი ვერ გაუწევდა ღირსეულ წინააღმდეგობას ევროპას და სამხრეთ ამერიკა წინასწარ იყო განწირული დამარცხებისთვის.

... ჩემპიონატისთვის შერჩეულ არბიტრებს შორის, რომლებიც მზადურ იტალიაში ჩავიდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან, იყო ახალგაზრდა შვედი მსაჯი ივან ეკლინდიც. მისი სახელი მაშინ ბევრს არაფერს უუბნებოდა ფეხბურთის მოყვარულებს, მაგრამ მალე სწორედ ეს შვედი იქცა მეორე მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად.

აი, რას გვიამბობს თვითონ ივან ეკლინდი:

„ოცნებითაც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდას, გამოუცდელ მსაჯს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წარმართვას მომანდობდნენ. ჩემს წინაშე ახალი, რთული პრობლემები აღიმართა, თუმცა იმაშიც დავრწმუნდი, რომ სინამდვილე უფრო სასიამოვნო ყოფილა, ვიდრე თვით ოცნება...

ჯერ კიდევ კარიერის დასაწყისშივე გადავწყვიტე, რომ თუკი რაიმე წარმატების მოპოვება და საერთაშორისო სარბიელზე გასვლა მსურდა, ჩემი პროფესიის კარგად დასაუფლებლად პირველ ყოვლისა საჭირო იყო გულმოდგინედ მომზადება როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. განსაკუთრებით ინტენსიურად ვემზადებოდი იტალიის ჩემპიონატისთვის. ზამთარში ჰოკეის ვთამაშობდი, ხოლო გაზაფხულზე, როგორც კი კვირტები გამოვიდა, ტყეში და ველზე დავიწყე სირბილში ვარჯიში, კილომეტრებს კილომეტრებზე ვფარავდი. მაგრამ აქაც კი, ბუნების წიაღში, ფეხბურთის წესები ჩემი განუყრელი თანამგზავრი იყო. სირბილით დაღლილი ყოველი შესვენებისას ისევ და ისევ წესებს ჩავკირკეტებდი და მუდამ ვპოულობდი რაღაც ახალს, რაც შემდეგში უთუოდ გამომადგებოდა მინდორზე. იმ დროს, როცა სხვები ელექტრომატარებლებსა თუ ავტობუსებში გაზეთების კითხვით იყვნენ გართული, მე ყველგან და მუდამ ფეხბურთის წესებში მქონდა ცხვირი ჩარგული...

იტალიის ჩემპიონატში თავდაპირველად შვეიცარიისა და ჰოლანდიის გუნდების მატჩი მომანდეს, სადაც გაიმარჯვეს შვეიცარიელებმა — 3:2. ჩემი კვალიფიციურობის უფრო მნიშვნელოვანი შემოწმება იყო ჩრდილოეთ მსოფლიო ჩემპიონთა — იტალიელთა და ავსტრიელთა ნახევარფინალური შეხვედრა. იტალიელთა წინაშე ძნელი ამოცანა იდგა: მათ უნდა დაემარცხებინათ ავსტრიული „ვუნდერ-ტიმი“, რომელიც იმ პერიოდში აღზევების უმაღლეს საფეხურზე იდგა. გუაიტას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით იტალიელებმა საწადელს მიაღწიეს.

ორივე მატჩი მეტად ძნელი გამოდგა ჩემთვის. თამაშის დროს შექმნილი დაძაბული სიტუაციები მაიძულებდა შეუსვენებლივ მერბინა მინდორზე და ისეთი დღე დამადგა, სულ ხვითქი გადამდიოდა. მაგრამ საბოლოოდ შთაბეჭდილება დამრჩა, რომ როლი ორივეჯერ წარმატებით დავძლიე. ეს მით უფრო სასიხარული იყო, რომ მანამდე სამად სამი საერთაშორისო მატჩი მქონდა ჩატარებული. ამიტომაც არ მომივიდოდა აზრად, რომ სწორედ მე, როგორც უკვე აღვნიშნე, ოცდაშვიდი წლის კაცს, ფეხბურთისთვის დაუბრძენებელ მსაჯს მანდობდნენ არბიტრის როლს მსოფლიო პირველობის ფინალურ შეხვედრაში, ამ შემთხვევაში იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩში.

ფიფა-ს მესვეურებმა ფინალური მატჩის წინ საღამოს ჯერ სიტყვიერად შემომთავაზეს ეს დიდი სპორტული მისია. ცივმა ოფლმა დამასხა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ვნერვიულობდი, ყველაფერში და ყველაში ეჭვი მეპარებოდა. ასე მეგონა ვიღაცამ მასხრად ამიგდო, გათენდება და ყველა დაიცინებს-მეთქი...

მაგრამ ეს თურმე ხუმრობა არ იყო — მეორე დღეს უკვე ხელთ მქონდა წერილობითი დოკუმენტი, რომელმაც ყოველგვარი ეჭვი გამიფანტა და მეც შევუდექი მატჩისთვის მზადებას, ალბათ არანაკლებ სერიოზულად და გულმოდგინედ, ვიდრე თვით ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები.

რომი. 10 ივნისი. 1934 წელი.

თერმომეტრში სინდიყი ორმოცამდე ავიდა. აუტანელი პაპანაქება იყო. ჩვენ, შვიდებს, ასეთი რამ მხოლოდ გაზეთებში თუ წაგვიკითხავს. ამიტომ ყოველი შემთხვევისთვის ორი ხელი ტანსაცმელი მოვიმზადე, რათა შესვენების შემდეგ გამომეცვალა და ისე გამოვსულიყავი მინდორზე. სასტუმროში, როცა აუცილებელ ნივთებს ვალაგებდი ჩემოდანში, გონებაში ვიმეორებდი ორივე გუნდის შემადგენლობებს. ზოგიერთი მოთამაშის გვარმა ჩამაფიქრა. განსაკუთრებით მაინტერესებდა იტალიელთა ნახევარმცველი, წარმოშობით არგენტინელი მონტი, რომლის გაოცა კოლეგებმა გამაფრთხილეს: თვალი არ მოაშორო, ეშმაკის ფეხიაო.

შეხვედრის წინ თითქოს უფრო ჩამოწვა ხვატი, სუნთქვა გაჭირდა. უზომოდ გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ მატჩის დაწყებისთანავე ორივე გუნდმა საოცრად მაღალი ტემპით დაიწყო თამაში. მეტი რა გზა მქონდა, მეც ავყევი.

გუნდები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უხეშობაში, ჯარიმა ჯარიმაზე ინიშნებოდა. ყოველი ბურთისთვის შეუპოვარი ბრძოლა იყო გაჩაღებული. არასპორტული გამოხდომებითა და უხეში თამაშით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორმა იტალიელმა — უკვე დასახელებულმა მონტიმ და მარჯვენა გარემარბმა გუაიტამ. მიუხედავად ამისა, სერიოზული ინციდენტისა არ მეშინოდა: ფეხბურთის წესები ხომ მთელს მსოფლიოში ერთნაირია და, თუ მსაჯი ამ წესებს დროულად, ზუსტად გამოიყენებს, რაგინდ რთული ვითარება იყოს, არ დაიბნევა, ყველაზე ურჩ ფეხბურთელსაც კი „მოთათვინიერებს“...

მაგრამ რა პაპანაქება იყო, რა ჯოჯოხეთური ტემპი! ათი წუთის შემდეგ უკვე ოფლში ვცურავდი.

„წინ, მეცა, წინ!“ — ამხნევებდნენ ტემპერამენტიანი იტალიელები თავიანთ გუნდს, რომელიც განუწყვეტლივ უტევდა მეტოქეს, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელთა დიდებული დაცვა წარმატებით იგერიებდა „სკუადრა აძურას“ ყველა იერიშს. თანაგუნდელებს კრუხვით დასტრიალებდა თავს და ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიელთა კაპიტანი, მეკარე პლანიჩკა. მატჩის დამთავრებამდე 18 წუთი რომ დარჩა, მარცხენა გარემარბმა პუჩმა ძნელი კუთხიდან მძლავრად დაარტყა იტალიელთა კარში. თანაც ბურთი ჩახვეული აღმოჩნდა და მეკარე კომბი უძლური აღმოჩნდა — 1:0!

კიდევ რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

... მარცხენა ფრთაზე უცებ ბურთთან გაჩნდა უმეთვალყურეოდ მიტოვებული იტალიელი ორსი (წარმოშობით არგენტინელი), ბურთიანად გადადგა ორი-სამი ნაბიჯი და საჯარიმო მოედნის ხაზიდან ძლიერად დაარტყა. საშუალო სიმაღლეზე წასული ბურთი, როგორც ჩანს, მოულოდნელი იყო პლანიჩკასთვის. იგი წამით შეყოვნდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბურთი ბადეში გახვეულიყო — 1:1.

ეს იყო ლეგენდარული პლანიჩკას ერთადერთი, მაგრამ საბედისწერო შეცდომა მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებში...

თამაშისთვის განკუთვნილი 90 წუთი ამოიწურა. დაღლილ, სიცხისგან დასუსტებულ სპორტსმენებს კიდევ ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი ელოდათ. მე-5 წუთზე გუაიტამ გონებამახვილური, მისთვის დამახასიათებელი შენიღბული ცრუ მოძრაობის წყალობით თავისუფალი არე შეუქმნა სკიავიოს, შემდეგ კი მასვე ბურთიც გადაუწოდა. სკიავიომ მარჯვენა ფრთიდან ძლიერი, აუდებელი დარტყმით მეორედ სძლია პლანიჩკას. ამას მოყვა კიდევ 15 წუთი პაპანაქება, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

იტალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს“.

ეკლინდის მსაჯობით, თუმცა მას ამ დაძაბულ მატჩში მეტად რთული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა. ახალგაზრდა შვედი არბიტრის ოსტატობა, თამაშის წარმართვის განსაკუთრებული სტილი ძალიან მოიწონა უცხოელის პრესამაც. ეკლინდმა იმთავითვე დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. მან მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მესამე მსოფლიო ჩემპიონატშიც. შვიდი საერთაშორისო არბიტრის სასტვენის ხმა გაისმა დიდი სამამული ომის შემდეგაც, 1950 წელს, ბრაზილიაში, სადაც მეოთხე მსოფლიო პირველობა ჩატარდა.

• • •

სურათზე: ფინალური მატჩის წინ ერთმანეთს მიესალმებიან გუნდების კაპიტნები, მეკარეები იტალიელი პიერო კომბი და ჩეხოსლოვაკიელი ფრანტიშეკ პლანიჩკა. შუაშია მთავარი მსაჯი ივან ეკლინდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებელო სპორტული პროფილის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1974-75 სასწავლო წლისთვის IV კლასიდან IX კლასის ჩათვლით სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, ცურვისა და ფარიკაობის განხრით.

IV და V კლასებში მოსწავლეები მიიღებიან სპეციალური შემოწმების შემდეგ. VI, VII, VIII და IX კლასებში მიიღებიან მოზარდები, რომელთაც სპორტული თანრიგი აქვთ.

განცხადებები მიიღება და მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონე შემოწმდება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი — 5-დან 20 ივნისამდე, მეორე ეტაპი — 20-დან 31 აგვისტომდე.

სწავლება ქართულ ენაზეა.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი გლდანი, ტელ. 72-41-34, 62-53-95. ავტობუსი № 24 მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან“.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04603